ოქმი:**ო02. 3725118001**

თარიღი:**28/04/2025**

ოქმი № 5

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის სხდომის

2025 წელი, 28 აპრილი

ქ.ოზურგეთი

14:00-14:30 საათი

თავმჯდომარეობდა: ბექა თოიძე, - მუდმივმოქმედი კომისიის თავმჯდომარე

ესწრებოდნენ კომისიის წევრები: თ. ტუღუში, ლ. კილაძე, დ. ჭაკნელიძე, ნ. ჭანიშვილი, ნ. ურუშაძე, გ. სირაძე, გ. შილაკაძე, ნ. სარჯველაძე, ალ. ღლონტი, ვლ. ხავთასი.

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი,რომელიც დაამტკიცეს ერთხმად.

დღის წესრიგი

1.ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის შესახებ.

მომხსენებელი: ბ. თოიძე
თანამომხსენებელი: პ. ჭყონია

2. საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტში განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტის მოწონების თაობაზე.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

3. საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში ოზურგეთის მუნიციპალიტეტში დასაფინანსებელი პროეტების დამტკიცების შესახებ.

მომხსენებელი: ბექა თოიძე

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ აღნიშნა, რომ ანგარიში წარმოდგენილია საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 87-მუხლის შესაბამისად და ვადებში, კომისიის წევრებს მოკლედ მოახსენა მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტის შესრულების ძირითად პარამეტრებზე, შემოსავლებსა და ხარჯებზე, ხოლო ვრცელი ინფორმაცია გააკეთა თანამომხსენებელმა პ. ჭყონიამ, რომელმაც ისაუბრა შემოსავლებზე, ხარჯებზე, გრანტებსა და ა.შ. შემდეგ კონკრეტულად განიხილა თითოეული პროგრამისა და ქვეპროგრამის შესრულების მაჩვენებლები.

განსაკუთრებული ყურადღება გაამახვილა კომისიის ფუნქციის შესაბამისი დარგების, პროგრამების და ქვეპროგრამების დაფინანსებაზე და გაწეულ ხარჯებზე. ისაუბრა სარეზერვო ფონდის ხარჯვაზე, არსებულ ნაშთებზე, რომელიც გასული წლის შესაბამის მაჩვენებელზე მნიშვნელოვნად ნაკლებია მაგრამ მაინც საყურადღებოა. შემოსავლების გეგმა შესრულებულია 101,4%, ხარჯების- 90,5%, ანგარიშის მოსმენის შემდეგ სხდომა წარიმართა კითხვა-პასუხის რეჟიმში. სხდომის თავმჯდომარემ დ. ჭაკნელიძემ კომისიის წევრებს გააცნო სამუშაო ჯგუფის მიერ გაკეთებული დასკვნის პროექტი. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და აღნიშნეს, რომ გამოვლენილი ხარვეზები არაა არსებითი ხასიათის, მიზანშეწონილად მიიჩნიეს ანგარიშის სარებულოს სხდომაზე წარდგენა განხილვისა და დამტკიცების მიზნით.

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მეორე საკითხი, კერძოდ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ოზურგეთის მუნიციპალიტეტის დაბა ურეკში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით,

სხდომის თავმჯდომარემ ბ. თოიძემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგის მესამე საკითხი, კერძოდ ის ინფრასტრუქტურული პროექტები, რომლებიც უნდა განხორციელდეს სოფლის მხარდამჭერი პროგრამის ფარგლებში. კომისიის წევრებმა იმსჯელეს და მხარი დაუჭირეს განკარგულების პროექტების საკრებულოს სხდომაზე წარდგენას განხილვა-დამტკიცების მიზნით,

გადაწყვიტეს:

დამტკიცდეს კომისიის დასკვნა და კომისიის სხდომის დღის წესრიგში შეტანილი სამივე საკითხი წარდგენილ იქნას საკრებულოს სხდომაზე განსახილველად და დასამტკიცებლად.

ბექა თოიძე

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და
ინფრასტრუქტურის კომისია-კომისიის თავჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი